ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N37

ქ.თბილისი 12 თებერვალი, 2019 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
გიორგი გაბაშვილი
ოთარ გრიგოლია
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
ანა ლაშხი
ლილე ლიპარტელიანი
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
თარაშ შურღაია
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ილია ჯიშკარიანი
ქეთევან ჯოხაძე
ჯაბა ჯიშკარიანი
ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე
გულია გოცირიძე
ლევან დავითაშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ირაკლი ზარქუა
ფრიდონ ინჯია
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან ხაბეიშვილი
ლევან ჯაფარიძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა მუმლაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა ცინაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გვანცა ნიკოლაიშვილი;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელი ნინო კვეტენაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ლევან ხაბეიშვილმა მოითხოვა, ჩადენილი დანაშაულის გამო, ვაკის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან გადადგომა და მიმართა გიორგი ტყემალაძეს „როდიდან გახდა საკრებულო ვაკის გამგეობის სპიკერი“ ან გამგებლის ქმედებაზე რატომ აკეთებს კომენტარს ვარკეთილის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი და საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე. ასევე, დაინტერესდა, რატომ არ აქვს საკრებულოს წევრს შესაძლებლობა გაეცნოს დოკუმენტაციას, რომელიც ესაჭიროება თავისი საქმიანობის განსახორციელებლად და რატომ სდუმს საკრებულო იმაზე, რომ მის წევრებს ხელს უშლიან უფლებამოსილების განხორციელებაში. მისთვის გაუგებარია, მუნიციპალიტეტის მიერ, ფარცხალაძესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, კერძოდ, კომპანიამ განაცხადა, რომ ტერიტორიაზე მოაწყობდა რეკრეაციული ზონას, რაც თითქოსდა აშენებული კორპუსების კომერციულ ფასს გაზრდიდა, თუმცა, მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ თავად მოაწყოს რეკრეაციული ზონა და კომპანიას, სამშენებლო გამოყენებისთვის, გადასცა სხვა მიწის ნაკვეთი. მართალია, აღნიშნული საქმე პროკურატურაშია, თუმცა, საინტერესოა საკრებულოს პოზიცია ამასთან დაკავშირებით. ასევე, ისაუბრა დღის წესრიგით წარმოდგენილ ერთ-ერთ საკითხზე, რომლის მიხედვითაც უნდა აშენდეს თვრამეტი ცხრასართულიანი კორპუსი და დაინტერესდა, რატომ უნდა მიიღოს საკრებულომ ეს გადაწყვეტილება მაშინ, როდესაც როგორც მოქმედი, ასევე, ახალი გენ.გეგმით ეს დაუშვებელია. ლევან ხაბეიშვილი, კახა კალაძის განცხადებიდან გამომდინარე, რომ კვლევის საფუძველზე, ქალაქში მოიჭრება ათასობით დაავადებული ხე, დაინტერესდა, როდის და რა კვლევა ჩატარდა ამ მიმართულებით და როდესაც საუბრობენ, რომ დაავადებული ხეების დიდი ნაწილი ბიზნესის ტერიტორიაზე, რატომ არავინ ინტერესდება იმით, რომ შესაძლებელია ბიზნესი განზრახ ახმობდეს ხეებს, რათა ააშენოს რაც შეიძლება მეტი კორპუსი.

გიორგი ტყემალაძემ განმარტებები გააკეთა ლევან ხაბეიშვილის განცხადებებზე და აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთების მონაცვლეობასთან დაკავშირებით ნახსენები რეკრეაციული ზონის განვითარებასთან დაკავშირებით, განაშენიანების რეგულირების გეგმა დაახლოებით წელიწადნახევრის წინ წარედგინა საკრებულოს, თუმცა, საკრებულომ არ დაამტკიცა, მოსახლეობის ინტერესებდან გამომდინარე და არა იმიტომ, რომ იქ მოწყობილიყო სკვერი ქალაქის მხრიდან. რაც შეეხება მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხს, რომელიც ეხება მოსკოვის გამზირზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტს, განაცხადა, რომ კომისიაზე დეტალურად იქნა განხილული თუ რა ფუნქციური ზონა მიენიჭება ახალი განვითარებით და რას გულისხმობს ახალი გენ.გეგმა სამრეწველო ზონებთან დაკავშირებით, თუმცა ლევან ხაბეიშვილმა არ მოისურვა მოსმენა და განაცხადა, ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის და სისწორის გასარკვევად, უმჯობესი იქნება თითოეული საკითხი განვიხილოთ სიღრმისეულად და შინაარსობრივად. საუბრის ბოლოს, გიორგი ტყემალაძემ დააფიქსირა პოზიცია, რომ საკრებულოს წევრს უნდა ჰქონდეს დაკისრებული უფლებამოსილებების განხორციელების შესაძლებლობა, თუმცა, საკრებულოს წევრმაც უნდა იცოდეს თავისი ფუნქცია-მოვალეობები და ისიც, რისი უფლება აქვს კანონით განსაზღვრული.

რევაზ სოხაძემ ვაკის რაიონის გამგეობასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარზე განაცხადა, რომ არავის აქვს უფლება უგულებელყოს სხვა მოქალაქის უფლებები. მისი თქმით, საკრებულოს ოპოზიცია არის არაკვალიფიციური, რადგან მათი მთავარი ფრაზა არის ის, რომ სადღაც, ხელშეუხებელ სამრეწველო ზონაში, შენდება 18 მაღალსართულიანი კორპუსი და განაცხადა, რომ დღეს ამ ტერიტორიაზე არის ნანგრევები და მუნიციპალიტეტი ყველაფერს გააკეთებს, რომ ასეთ ადგილებში აშენდეს ახალი კორპუსები, რაც გააუმჯობესებს თბილისის

მოსახლეობის მდგომარეობას. ზემოთხსენებულ ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2, რაც გულისხმობს 4.6 კოეფიციენტით განაშენიანებას და შესაბამისად, მესაკუთრეს შესაძლებლობა აქვს ააშენოს არა ცხრასართულიანი, არამედ ოცსართულიანი კორპუსები, თუმცა, ქალაქის ურბანულ სამსახურთან და მთავრობასთან შეთანხმებით, არ ხდება კოეფიციენტის სრულად ათვისება. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ დედაქალაქის დღევანდელი ხელისუფლების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება იყო სწორი, გამომდინარეობდა ქალაქის და მოსახლეობის ინტერესებიდან და ასე გაგრძელდება მომავალშიც.

ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ ლევან ხაბეიშვილს სურს „დადგას შოუ“, ის არ საუბრობს საქმიანად. მიმდინარე სხდომაზე რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია განსახილველი, კერძოდ, სესხის აღება 62 მილიონი ლარის ოდენობით, რაც საშუალებას მოგვცემს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დავიწყოთ მანამ, სანამ ცენტრალური ბიუჯეტიდან გადმოირიცხება სპეციალური ტრანსფერი; იბიარდის კრედიტი, რომელიც მიმართული იქნება ნაგავსაყრელის მოწესრიგების და ნაგვის გადამამუშავებელი სისტემის სეპარირებისთვის; იზრდება აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების პროგრამის დაფინანსება და ვარკეთილის მე-3 მასივში ინტერესთა გამოხატვა. ბექა დავითულიანის თქმით, საკრებულომ უმჯობესია იმსჯელოს ისეთ საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია არა ლევან ხაბეიშვილისთვის, არამედ ქალაქისთვის.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტი არ კარგავს არც ერთ წუთს იმისთვის, რომ განახორციელოს ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის გორგასლის, ფიროსმანის, გუდიაშვილის ქუჩების და სხვადასხვა ხიდების რეაბილიტაცია. მისი თქმით, სესხი არის ალტერნატიული ფინანსური რესურსი, რომ პროექტების განხორციელებისთვის საჭირო სამუშაოები დაიწყოს უახლოეს მომავალში. მნიშვნელოვანია იბიარდის სესხიც, რომელიც საშუალებას მოგვცემს განახლდეს „თბილსერვის ჯგუფის“ ავტოპარკი, აშენდეს გადამტვირთი სადგური და რეაბილიტაცია ჩაუტარდეს წყლის გამწმენდ ნაგებობას. ასევე, მნიშვნელოვანია აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების პროგრამის დაფინანსების გაზრდა და ინტერესთა გამოხატვა ვარკეთილის მე-3 მასივში, რაც ავარიული კორპუსების მაცხოვრებლებს მისცემს საშუალებას იცხოვრონ ახალ კორპუსებში. ირაკლი ზარქუას თქმით, ეს არის ის მნიშვნელოვანი პროექტები, რომლების გადაფარვის მცდელობა ჰქონდა ლევან ხაბეიშვილს თავისი გამოსვლით.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ სესხის აღების თაობაზე პათოსი მისთვის გაუგებარია, რადგან, მისი აზრით, მერიის ეფექტური მუშაობის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა ამ თანხების მოძიება შიდა რესურსით. გარდა ამისა, იმ პროექტების განხორციელება, რისთვისაც მუნიციპალიტეტი იღებს სესხს, ბოლომდე გააზრებული არაა, რასაც მოწმობს ის, რომ გორგასლის გამზირის განვითარების პროექტი მხოლოდ წინასწარი ესკიზების დონეზეა და პროფესიულ საზოგადოებას ამაზე არ უმსჯელია და არ ვიცით, ქალაქისთვის იქნება უკეთესი თუ უარესი. ისაუბრა მოსკოვის გამზირზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტზე და განაცხადა, რომ პროცესი ლოგიკური თანმიმდევრობით არ მიმდინარეობს, რადგან ქალაქს აქვს შესაძლებლობა მრავალფუნქციური არეალები განავითაროს გენ.გეგმის მიხედვით და იმის ნაცვლად, ვიფიქროთ ასეთი არეალების განვითარების ერთიან ხედვაზე, ვასწრებთ პროცესს და ვამტკიცებთ ერთი კონკრეტული პროექტის გეგმარებით დავალებას. ნიკოლოზ ვაჩეიშვილის თქმით, ეს არ იქნება თავსებადი მთლიან ხედვასთან, ჯანსაღ განვითარებასთან და ის, რაც დღეს უმრავლესობას მიაჩნია კარგ პროექტად, აღმოჩნდება, რომ ქალაქის ერთიანი განვითარებისთვის არასწორი იქნება.

გიორგი ჩაკვეტაძემ ლევან ხაბეიშვილის განცხადებებს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების „ჩაკარგვის მცდელობა“ უწოდა. მნიშვნელოვანია ის, რომ გრძელდება ბინების დაკანონება, საკმაოდ რთულ მდგომარეობაში მყოფი აუტისტური სპექტრის მქონე დასაფინანსებელი ბავშვების რაოდენობა იზრდება 1000-მდე. ასევე, აღსანიშნავია რამდენიმე დღის წინ დედაქალაქის მერის მიერ გამართული პრეზენტაცია,

სადაც წარმოდგენილი იყო ქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი 23 ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტი.

თამარ ტალიაშვილი დაეთანხმა გიორგი ჩაკვეტაძის სიტყვებს, რომ ოპოზიციის წარმომადგენლის მხრიდან ადგილი ჰქონდა „კარგი საქმეების ჩაკარგვის მცდელობას“ და განაცხადა, რომ არ შეიძლება კონცენტრირებული იყო მხოლოდ დესტრუქციაზე და არა შემოქმედებითობაზე და ახლის შექმნაზე.

გიორგი დოხტურიშვილმა განაცხადა, რომ ვარკეთილის მე-3 მასივში ინტერესთა გამოხატვის გამოცხადება მისასალმებელია, რადგან „ეს არის ისტორიული პროექტი“, რასაც ჩვენი მოსახლეობა ათწლეულებია ელოდება. მუნიციპალიტეტის მხრიდან გადადგმულია ნაბიჯები და მიმართა კომპანიებს, რომლებსაც შეუძლიათ ასეთი მასშტაბიანი პროექტების განხორციელება, ჩაერთონ ამ მნიშვნელოვან პროცესში.

ლილე ლიპარტელიანმა მიმართა რევაზ სოხაძეს, რომ არაკვალიფიციური კოლეგები სწორედ „ქართული ოცნების“ ფრაქციის ის წევრები არიან, რომლებსაც საკრებულოს სხდომაზე წარდგენილი არც ერთი საკითხი არ აქვთ წაკითხული, „ნოტარიუსად არიან ქცეული და მხოლოდ ხელმოწერით ადასტურებენ მიღებულ გადაწყვეტილებებს“. მისი თქმით, სასიხარულო და მისასალმებელია აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების პროგრამის დაფინანსების გაზრდა, თუმცა გაუგებარია, რატომ არ იყვნენ სამუშაო ჯგუფში მიწვეულები ოპოზიციის წარმომადგენლები მაშინ, როდესაც საკითხი მათ მიერ იყო ინიცირებული. რაც შეეხება ვაკის რაიონის გამგეობაში მომხდარს, განაცხადა, რომ თავად გამუდმებით საუბრობდა იმაზე, რომ კრწანისის რაიონში, „ქართული ოცნების“ პარტიული აქტივისტების ხელფასის ანაზღაურება ხდებოდა გამგეობის მიერ, ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემის სახით და რატომ არის გასაკვირი, რომ ანალოგიური მომხდარიყო ვაკის გამგეობაშიც.

გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ხელისუფლება საუბრობს, თუ რა კარგი გეგმები აქვს და რამდენი რამ გაკეთდა, ხოლო ოპოზიცია ცდილობს იპოვოს საკითხები, სადაც ხელისუფლება არ მუშაობს კარგად და გააკრიტიკოს. მისთვის გაუგებარია საკრებულოს უმრავლესობის პოზიცია, თითქოს ოპოზიციას არ უხარია, როდესაც ხელისუფლება კარგ საქმეს აკეთებს. პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, საკრებულოს თითოეული წევრი უნდა ცდილობდეს გადაჭრას კონკრეტული პრობლემები, რისი კარგი მაგალითიცაა მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა პროგრამის დაფინანსების გაზრდის საკითხი. ასევე, ისაუბრა ელენე ხოშტარიას მიერ გაჟღერებულ საზოგადოების ინიციატივაზე, რომელიც ეხება საბჭოთა წარსულის მძიმე რეპრესიების მსხვერპლთა საპატივცემულოდ თბილისში სიმბოლური ადგილების მოწყობას და აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ საკრებულო ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს 25 თებერვლამდე. საუბრის ბოლოს, გიორგი გაბაშვილმა გაიხსენა შეთანხმება, რომ საკრებულო იმსჯელებდა თბილისში, ერთ-ერთი ქუჩისთვის ჯონ მაკკეინის სახელის მინიჭებაზე და იმედი გამოთქვა, რომ საკითხის განხილვა დიდი ხნით არ გადაიდება.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ „აბსოლუტურად სწორად გვესმის რა არის როგორც ოპოზიციის, ასევე პოზიციის როლი, ძალიან კარგად გვაქვს გათავისებული, როგორც ინსტიტუციურად, ასევე ურთიერთობის ნაწილში, თუმცა ყველაფერს აქვს ფორმა“. მისი თქმით, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს სამი მიმართულება: როცა ხელისუფლება იღებს კრედიტს საქმის საკეთებელად, ისინი ავანტიურით არიან დაკავებულები, სურთ შექმნან ვირტუალური თანამდებობები და მოახდინონ თბილისის ხელისუფლების დემორალიზება შავი პიარის აგორებით.

რამინა ბერაძემ განაცხადა, რომ საკრებულო არის ხალხის მიერ არჩეული და თითოეული წევრი საზოგადოების წინაშეა ვალდებული, თუ როგორ განახორციელოს ესა თუ ის პროექტი და იზრუნოს იმ პრობლემების მოგვარებაზე, რაც აწუხებს მოსახლეობას. ამის დასტურია ის, რომ ხელისუფლება იღებს 62 მილიონიან სესხს იმისთვის, რომ განახორციელდეს ახალი, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები. ლილე ლიპარტელიანის სიტყვებზე, თითქოს სოციალური დახმარების გაცემის სახით ხდება პარტიული აქტივისტების

დაფინანსება განაცხადა, რომ ეს არაფერში სჭირდება „ქართული ოცნების“ პარტიულ ორგანიზაციას და გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლებელია დღეს პარტიის სტრუქტურაში მყოფი ადამიანი ყოფილიყო სოციალურად დაუცველი და გამგეობას გაეცა დახმარება.

ფრიდონ ინჯია გამოეხმაურა გიორგი გაბაშვილის ინიციატივას, რომელიც ეხება თბილისში, ერთ-ერთი ქუჩისთვის ჯონ მაკკეინის სახელის მინიჭებას, განაცხადა, რომ არ დაეთანხმება მოსაზრებას, რომ ჯონ მაკკეინის სახელობის ქუჩა უნდა არსებობდეს თბილისში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „კომერციულ ბანკში საკრედიტო ხაზის გახსნის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე
თანამომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

3. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: მამუკა მუმლაძე
თანამომხსენებელი: ვასილ აბულაძე

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მამუკა მუმლაძე
თანამომხსენებელი: ვასილ აბულაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: მამუკა მუმლაძე
თანამომხსენებელი: ვასილ აბულაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მამუკა მუმლაძე
თანამომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ზაზა ცინაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

10. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

11. „ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.251) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის“ (ს/ნ.: 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N338 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების და ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.251) 14 კვ.მ. საერთო ფართობის მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის“ (ს/ნ.: 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

12. „ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. N9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.16.05.031.029) 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ლევან ლიპარტელიანისთვის (პ/ნ.: 53001011062) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

13. „ქალაქ თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზირი N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.16.05.026.024) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „სთარ“-ისთვის (ს/ნ.: 406178381) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

14. „ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა N43-ის მიმდებარედ არსებული 244 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.18.03.065.033) 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ლალი გოჩიტაშვილისთვის (პ/ნ.: 01006019038) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

15. „ქალაქ თბილისში, დასახლება ლილო, მიკრორაიონი I, კორპუსი N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.008.005.01.123) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

16. „ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, მე-2 ჩიხი N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.01.006.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

17. „ქალაქ თბილისში, ლეხ კაჩინსკის ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდები: N01.17.13.022.003.01.521 და N01.17.13.022.003.01.522) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

18. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების I მიკრო/რაიონში, მაგისტრალის დასაწყისის შუა ზოლში მდებარე 3123 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.19.20.001.138) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

19. „ქალაქ თბილისში, გლდანში, გიორგიწმინდას დასახლებაში არსებული 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 172.13.03.588) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

20. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

21. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.279 (საერთო ფართობი 18765 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

22. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: N01.17.12.003.035, ფართობი: 33169 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

23. „ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: N01.14.05.008.204) საერთო ფართობი 9440 კვ.მ. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

24. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ქერჩის ქუჩაზე სოფლის შემოგარენში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.11.05.029.025; 01.11.05.029.259, 01.11.05.029.258) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N298 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

25. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონი ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ, არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ.: N01.11.13.001.117 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2018 წლის (01.07.2018-31.12.2018) მუშაობის ანგარიში“.

მომხსენებელი: რამინა ბერაძე

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „კომერციულ ბანკში საკრედიტო ხაზის გახსნის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ და აღნიშნა, რომ თბილისის 2019 წლის ბიუჯეტი იქნება დაახლოებით მილიარდ ასი მილიონი ლარი, რაც თბილისის ბიუჯეტს არასდროს ჰქონია და არასდროს განხორციელებულა იმ მასშტაბის პროექტები, რომლებიც დაგეგმილია 2019 წელს. დამატებითი ტრანსფერი, რომელიც შეადგენს ასხუთ მილიონ ლარს, უახლოეს პერიოდში გამოიყოფა ცენტრალური ბიუჯეტიდან, თუმცა, მანამდე, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობიდან და რაოდენობიდან გამომდინარე, უმჯობესია ეხლავე იქნას დაწყებული სატენდერო სამუშაოები და აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ამ თანხის სესხით ჩანაცვლებას. მისი თქმით, შესაძლებელია მუნიციპალიტეტს არ დასჭირდეს სესხის ათვისება, რადგან გადახდების დროისთვის, სავარაუდოდ, ტრანსფერი განხორციელებული იქნება. ამ ეტაპზე ტენდერები გამოცხადდება 62 მილიონი ლარის სამუშაოებზე, ხოლო დანარჩენი ნაწილის, შედარებით მცირე მასშტაბიანი სამუშაოების გეგმარება მოხდება ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხის გადმორიცხვის შემდგომ.

გიორგი გაბაშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წელს ცენტრალურ ბიუჯეტში იყო ძალიან დიდი ოდენობის თანხის აუთვისებლობა, რომლის ნაწილიც, წლის ბოლოს გადანაწილდა ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებში და დაინტერესდა, 2019 წელსაც რომ მოხდეს ანალოგიური და შესაძლებელი იყოს ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხის გადმორიცხვა, უმჯობესი ხომ არ იქნება მუნიციპალიტეტმა მიმართოს ამ გზას და არ აიღოს სესხი კომერციული ბანკიდან.

ირაკლი ხმალაძემ განმარტა, რომ ცენტრალური ბიუჯეტში დარჩენილი თანხა იყო არა აუთვისებელი, არამედ, ის განკუთვნილი იყო დონორებისგან დაფინანსებული პროექტებისთვის, რომელსაც ცენტრალური ბიუჯეტი მუნიციპალიტეტებს ვერ გაუნაწილებდა. 2018 წლის ბოლოს ცენტრალური ბიუჯეტიდან სპეციალური ტრანსფერის

სახით მუნიციპალიტეტისთვის გადმორიცხული თანხა იყო დამატებითი შემოსავლის სახით მიღებული თანხა. აქვე, კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ამ ეტაპზე საკრედიტო ხაზის გახსნა აუცილებელია იმისთვის, რომ დროის მოგების მიზნით, დაიწყოს სატენდერო პროცედურები. აქედან გამომდინარე, სანამ ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხა, უმჯობესია მუნიციპალიტეტს ჰქონდეს საკრედიტო ხაზი, თუმცა, შესაძლებელია თანხის ათვისება არც გახდეს საჭირო.

გიორგი გაბაშვილმა, დაზუსტების მიზნით, განაცხადა, რომ 2018 წელს ცენტრალურ ბიუჯეტში აუთვისებელი თანხის მხოლოდ მცირე ნაწილი, დაახლოებით ერთი მეექვსედი იყო დონორების თანხა.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ ინიციატივა მნიშვნელოვანია და საკრედიტო ხაზი აუცილებელია იმისთვის, რომ დრო არ დაიკარგოს და დაგეგმილი პროექტები განხორციელდეს ზაფხულში და არა შემოდგომაზე, როდესაც ქალაქი გადატვირთულია მოსახლეობით და ავტომობილებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ სესხის ოდენობა შეადგენს 15 მილიონ ევროს, რომელიც სრულად მოხმარდება „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. კერძოდ: ადმინისტრირების გადასახადის დაფარვა - 150000 ევრო; პროექტის განხორციელების მხარდაჭერა - 400000 ევრო; სხვადასხვა მოცულობის, 63 ერთეული ნაგავმზიდი, 12 ერთეული ნარჩენების გადამტვირთი მანქანების და 7 ერთეული მექანიკური დამდგმელების შესყიდვა - 9200000 ევრო; გადამტვირთი სადგურის მშენებლობა-რეაბილიტაცია - 1300000 ევრო; წყლის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია - 4350000 ევრო.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ საკითხი მნიშვნელოვანია, მათ შორის, პრიორიტეტულია ლილოს ნაგავსაყრელთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება, რომელიც, ძირითადად, უკავშირდება წყლის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციას და „თბილსერვის ჯგუფის“ ავტოპარკის განახლება, რომელიც ყოველდღიურად ემსახურება ქალაქს.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ თანხა ხმარდება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას და მადლობა გადაუხადა იბიარდს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც ეხმარებიან, როგორც სახელმწიფოს, ასევე მუნიციპალიტეტს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ და განმარტა, რომ ცვლილებები ეხება სანებართვო მოსაკრებლის გაცემისას ტარიფის დადგენას, კერძოდ, მხოლოდ საწვავზე მომუშავე ავტომობილებისთვის განსაზღვრული იქნება 100 ლარი, ჰიბრიდული ავტომობილებისთვის - 50 ლარი, ხოლო ელექტრომობილები გათავისუფლებული არიან აღნიშნული გადასახადისგან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით M1 კატეგორიის მიმართულებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის ფუნქცია ემატება ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით სახელწოდება ეცვლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების განყოფილებას და შემდგომში ჩამოყალიბდება, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ზაზა ცინაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით კულტურის მიმართულებით არსებული აუცილებელი მოცდის ვადა 40 დღიდან მცირდება 20 დღემდე, ემატება საკონკურსო ნაწილი „შემოქმედებითი თბილისი“ და ხდება ინკლუზიური განათლებისა და ინკლუზიური კულტურის დაფინანსების პროგრამების ინტეგრაცია; ცვლილება წარმოდგენილია ასევე, თბილისელი სპორტსმენების წახალისების პროგრამაში, კერძოდ, დაჯილდოვდებიან ოლიმპიადის მონაწილე თბილისელი სპორტსმენები, რომლებიც გავლენ პირველ, მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე;

თამარ ტალიაშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით წესი გაუმჯობესებულია საჯაროობის და გამჭვირვალობის კუთხით და გახდება უფრო მოქნილი. აქვე, განმარტა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის რეკომენდაციით, დადგენილების პროექტის დანართის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტიდან ამოსაღებია სიტყვა „ეროვნული“ და აღნიშნა, რომ ამ ცვლილებას ეთანხმება საკითხის მომხსენებელი.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი საკითხი მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინტერესების განხორციელების კუთხით. მისი თქმით, აუცილებელია გამართული პროცედურა იყოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის კუთხით. აქვე, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით ბიუჯეტის ხარჯვა იქნება უფრო ეფექტური, რაც მისასალმებელია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამაში დასაფინანსებელი ბავშვების ლიმიტი 850-დან იზრდება 1000 ბენეფიციარამდე.

გიორგი ბირბიჩაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება წინგადადგმული ნაბიჯია, რაც ბევრ ოჯახს შეუმსუბუქებს მდგომარეობას.

გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილება მისასალმებელია, რადგან ამ მიმართულებით, თბილისში აღარ იქნება არც ერთი ადამიანი, ვისაც მოუწევს ლოდინი და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ ცვლილებები გამოწვეულია არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე: ემატება ტერმინთა განმარტებები; იყოფა პირად და ოჯახად რეგისტრაცია და ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდება ცალ-ცალკე პროცედურა, შრომისუნარიან ყველა პირს მოეთხოვება იყოს რეგისტრირებული ბაზაში; საქართველოს მოქალაქე ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად უნდა იყოს რეგისტრირებული თბილისში; ასევე, წარმოდგენილია რამდენიმე ტექნიკური ხასიათის ცვლილება, მათ შორის, პირს საპატიოდ ჩაეთვლება საზღვრის გადაკვეთა, თუ ეს იქნება სასწავლო, ჯანმრთელობის ან სხვა დასაშვები მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტი ინრტერესთა გამოხატვას აცხადებს 30205 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე იმ პირობით, რომ 7500 კვ.მ. საცხოვრებელ ფართს, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, საკუთრებაში გადასცემს

მუნიციპალიტეტს. აღსანიშნავია ისიც, რომ მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი ქონება უნდა აშენდეს 36 თვის განმავლობაში და ინვესტორმა ამავე ვადაში უნდა მიმართოს შესაბამის უწყებას, ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ პროექტი მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ მაქსიმალურად გათვალისწინებულია, როგორც დედაქალაქის, ასევე ბიზნესის ინტერესები. მისი თქმით, ეს პროექტი ვარკეთილისთვის იქნება „ისტორიული“ და ეს იქნება ის მოდელი, რომელიც გავრცელდება მთელი თბილისის მასშტაბით, სადაც არის ე.წ. „ხრუშჩოვკები“ და ავარიული კორპუსები.

რევაზ სოხაძე დაინტერესდა, შედის თუ არა საზაფხულო ფართები მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემ 7500 კვ.მ.-ში და ასევე, დაინტერესდა, 36 თვე განსაზღვრულია ექსპლუატაციაში მისაღებად თუ იმისთვის, რომ ინვესტორმა, ექსპლუატაციაში მიღების მოთხოვნით, მიმართოს შესაბამის უწყებას.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემ ფართში გათვალისწინებულია საზაფხულო ფართები, რომელიც არ უნდა იყოს 10%-ზე მეტი. რაც შეეხება 36 თვიან ვადას, განსაზღვრულია იმისთვის, რომ ინვესტორმა შენობის ექსპლუატაციაში მიღების მოთხოვნით მიმართოს შესაბამის უწყებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.251) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის“ (ს/ნ.: 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N338 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების და ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.251) 14 კვ.მ. საერთო ფართობის მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის“ (ს/ნ.: 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ კომპანიას, პანდუსის მოსაწყობად გადაცემული ჰქონდა სამი ერთეული მიწის ნაკვეთი, თუმცა, რეალურად აღმოჩნდა, რომ ესაჭიროება მხოლოდ ორი მიწის ნაკვეთი და აქედან გამომდინარე წარმოდგენილია ცვლილება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. N9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.16.05.031.029) 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ლევან ლიპარტელიანისთვის

(პ/ნ.: 53001011062) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზირი N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.16.05.026.024) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „სთარ“-ისთვის (ს/ნ.: 406178381) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა N43-ის მიმდებარედ არსებული 244 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.18.03.065.033) 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ლალი გოჩიტაშვილისთვის (პ/ნ.: 01006019038) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისში, დასახლება ლილო, მიკრორაიონი I, კორპუსი N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.008.005.01.123) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 17 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, მე-2 ჩიხი N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.01.006.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 243.10 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ექვსი ოჯახისთვის, რომელიც მრავალი წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, ლეხ კაჩინსკის ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდები: N01.17.13.022.003.01.521 და N01.17.13.022.003.01.522) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 186.84 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ორი ოჯახისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების I მიკრო/რაიონში, მაგისტრალის დასაწყისის შუა ზოლში მდებარე 3123 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.19.20.001.138) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კერძო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ერთი და იგივე ფართობის მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის რეკომენდაციაა, კერძო პირმა წარმოდგენილი გაცვლის სანაცვლოდ, ხელი შეუწყოს იმ ტერიტორიის გამწვანებას, რომელსაც გადმოსცემს მუნიციპალიტეტს და კარგი იქნება ამ მიმართულებით მასთან მოლაპარაკება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისში, გლდანში, გიორგიწმინდას დასახლებაში არსებული 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 172.13.03.588) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გადაეცემა მოქალაქეს, სიმბოლურ ფასად, რის სანაცვლოდაც ის მუნიციპალიტეტს გადმოსცემს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას. მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს მეწყერულ ზონაში, სადაც ფაქტობრივად შეუძლებელია ცხოვრება.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან ის ტერიტორია, სადაც ცხოვრობს რვასულიანი ოჯახი სიცოცხლისთვის სახიფათო და საშიშია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ცეცხლაძემ და განმარტა, რომ ამ ეტაპზე, ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია 7 პოზიცია (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილები: N12-03190258-03 თარიღი: 25.01.2019 (6 პოზიცია); N12-031834876-03 თარიღი: 14.12.2018 (სულ 4 პოზიცია, განსახილველად წარმოდგენილია მხოლოდ მე-4 პოზიცია), რომლებზეც ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის და გარემოს დაცვის კომისიების რეკომენდაციების გათვალისწინებით, დადებითად შეფასდა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.279 (საერთო ფართობი 18765 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალის ფართობია 18765 კვ.მ., რომელზეც ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1, სატრანსპორტო ზონა 1 და სარეკრეაციო ზონა 2. დაგეგმილია ტერიტორიის დატვირთვა

სკოლის ფუნქციით, დახურული და ღია სპორტულის მოედნებით, დახურული აუზით და დამხმარე ნაგებობებით. აქედან გამომდინარე, შემოთავაზებულია ზონის სტატუსის ცვლილება სპეციალური ზონა 1-ით, თუმცა ნაწილზე დარჩება სატრანსპორტო ზონა 1 და ნაწილზე - სარეკრეაციო ზონა 2.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: N01.17.12.003.035, ფართობი: 33169 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალის ფართობია 33169 კვ.მ., რომელზეც ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 და სამრეწველო ზონა 1. პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია საცხოვრებელი კომპლექსის და კომერციული ობიექტების განვითარება და აქედან გამომდინარე, შემოთავაზებულია ზონის სტატუსის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით და ნაწილობრივ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით. დაგეგმილია თვრამეტი 8-9 სართულიანი კორპუსის მშენებლობა. ასევე, მოეწყობა სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა და ერთი შენობა განკუთვნილი იქნება საზოგადოებრივი ფუნქციებისთვის.

რევაზ სოხაძემ განმარტა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალი გენ.გეგმით ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2, რომელიც ითვალისწინებს მშენებლობის განვითარებას 4.6 კოეფიციენტით, რაც იმას ნიშნავს, რომ ტერიტორიაზე შესაძლებელია იყოს 75% საცხოვრებელი ბინები. წარმოდგენილი გრგ-ს მიხედვით, განაშენიანება შესაძლებელია 2.5 კოეფიციენტით. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით არის ნანგრევები და ამ უბანში თანამედროვე სტანდარტების, მიკრო-უბნის გაჩენა მნიშვნელოვანი და მისასალმებელია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: N01.14.05.008.204) საერთო ფართობი 9440 კვ.მ. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალის ფართობია 9440 კვ.მ., რომელზეც ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1. დაგეგმილია საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ფუნქციებით განვითარება არსებული ფუნქციური ზონის ფარგლებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ქერჩის ქუჩაზე სოფლის შემოგარენში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.11.05.029.025; 01.11.05.029.259, 01.11.05.029.258) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N298 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით შემოთავაზებულია საბავშვო ბაღის და კომერციული ობიექტების განვითარება, რაც გამოიწვევს ერთი საკადასტრო ერთეულის ზრდას მეორეს შემცირების ხარჯზე, რაც გამოიწვევს უკვე დამტკიცებულ გრგ-ში კოეფიციენტების ცვლილებას, თუმცა საერთო მოცულობა რჩება უცვლელი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონი ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ, არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ.: N01.11.13.001.117 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალის ფართობია 26378 კვ.მ., სადაც დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა. ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 და 2 და საცხოვრებელი ზონა. პროექტის ფარგლებში შემოთავაზებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის გავრცელება მთელ ტერიტორიაზე და ნაწილობრივ სატრანსპორტო ზონის განვითარება. პროექტი მოიცავს, როგორც საცხოვრებელი და კომერციული, ასევე სასტუმროს მშენებლობას, მათ შორის ორი შენობა იქნება 25 და 29 სართულიანი, რომლების პირველ სამ სართულზე განთავსდება კომერციული ფართები.

გულია გოცირიძე დაინტერესდა, საპროექტო არეალზე ჩატარებულია თუ არა მიწის ლაბორატირიული კვლევა, რადგან მიმდებარე ტერიტორიაზე მიწა არ არის მყარი და კორპუსებს ნელ-ნელა საძირკველი ეცლება.

გვანცა ნიკოლაიშვილმა განმარტა, რომ წარმოდგენილია ზოგადი გეოლოგიური კვლევა, რომლის ფარგლებშიც არავითარი რისკის მაჩვენებელი არ არის. რაც შეეხება დეტალურ კვლევას, ის არ ხორციელდება გეგმარებითი დავალების ეტაპზე.

გულია გოცირიძემ განაცხადა, რომ ეს არის მეტროს მიმდებარე ტერიტორია, რომელიც ისედაც გადატვირთულია და კიდევ მრავალბინიანი კორპუსის მშენებლობას მხარს არ დაუჭერს.

რევაზ სოხაძემ განმარტა, რომ გენ.გეგმის მიხედვით, აღნიშნული ტერიტორია არის პოლიცენტრული განვითარების არეალი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი განვითარება უნდა მოხდეს მაღალი ინტენსივობით და ამის დასტურია არსებული ფუნქციური ზონებიც. კერძოდ, ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2, თუმცა წარმოდგენილი გრგ-ს

ფარგლებში არ ხდება კოეფიციენტის სრულად ათვისება, რადგან დიდი ნაწილი ეთმობა რეკრეაციას.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ აღნიშნული ტერიტორია იყო რაგბის კავშირის საკუთრებაში და უნდა ყოფილიყო რაგბის მოედანი, თუმცა, სამწუხაროდ, დღეს ამ ტერიტორიაზე აშენებულია კორპუსები.

გვანცა ნიკოლაიშვილმა განმარტა, რომ სანამ აღნიშნული ტერიტორია სამშენებლოდ განვითარდებოდა, იქ იყო ავტობუსების და მიკროავტობუსების გაჩერება. რაც შეეხება რაგბის სტადიონებს, ამასთან დაკავშირებით სამსახური ინფორმაციას არ ფლობს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2018 წლის (01.07.2018-31.12.2018) მუშაობის ანგარიში“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე რამინა ბერაძემ (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის ანგარიში ცნობის სახით იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 8 დადგენილება და 17 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2018 წლის (01.07.2018-31.12.2018) მუშაობის ანგარიში

(მოხსენება)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიის მიერ 2018 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეულ სამუშაოებზე დაყრდნობით შედგენილია წინამდებარე ანგარიში, რომელიც კომისიაზე განხილვის შემდგომ წარედგინება საკრებულოს.

მოცემული დოკუმენტი შემუშავებულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სარევიზიო შემოწმებების შედეგად შედგენილი შემოწმება-ანალიზის დასკვნებზე დაყრდნობით.

2018 წლის სარევიზიო კომისიის სამუშაო გეგმა დამტკიცებულ იქნა 2017 წლის 14 დეკემბერს, რომელის თანახმადაც წლის განმავლობაში კომისია ახორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შემოწმებას, დასკვნების შედგენას და რეკომენდაციების გაცემას. დამტკიცებული გეგმა მოიცავს 21 შესამოწმებელ ორგანიზაციას მათ შორის, ქ.თბილისის 171 საბავშვო ბაგა-ბაღს შერჩევითი მეთოდით.

სარევიზიო კომისია, სარევიზიო შემოწმებას ახორციელებს სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომელთა მეშვეობით, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. ასევე კონკრეტული შემოწმებიდან გამომდინარე, შესაბამის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

ჯგუფის წევრები შემოწმების წარმოებისას გარდა სარევიზიო კომისიის დებულებით გახსაზღვრული უფლებამოსილებებისა ხელმძღვანელობენ, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის დავალებით და მის საფუძველზე გაცემული შესამოწმებელი ობიექტის შემოწმების პროგრამით. ასევე, ხელმძღვანელობენ შესამოწმებელი ობიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინფორმაციით, რომლის სისრულეზე და სისწორეზე პასუხისმგებელია შესაბამისი შესამოწმებელი ობიექტი, ხოლო ჩატარებული შემოწმებისა და მის საფუძველზე შედგენილი შემოწმება-ანალიზის დასკვნის სისწორეზე პასუხისმგებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის შესაბამისი შემმოწმებელი ჯგუფი.

სარევიზიო შემოწმებისას შემოწმების პროცესი მიმდინარეობს ობიექტურად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად, მასალების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. შემოწმების დასრულების შემდგომ მასალები წარედგინება კომისიას განსახილველად.

შემოწმება-ანალიზის ყველა დასკვნა სარევიზიო კომისიის მიერ განიხილება სხდომაზე. (სხდომამდე შემოწმება-ანალიზის დასკვნა გასაცნობად ეგზავნებათ შემოწმებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც 7 დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები-შენიშვნები დასკვნის ირგვლივ). სარევიზიო კომისიის სხდომაზე, ხმათა უმრავლესობით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება დასკვნის შემდგომი რეაგირების თაობაზე.

სარევიზიო კომისიის მიერ 2018 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში შემოწმდა გეგმით გათვალისწინებული 12 ორგანიზაცია, სადაც შემოწმების შედეგად სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მიერ, შედგენილ იქნა შემოწმება-ანალიზის დასკვნები (ორი ორგანიზაცია გახსილვის ეტაპზეა), ხოლო 5 (ხუთ) ორგანიზაციაში შემოწმება მიმდინარეობს.

სარევიზიო კომისიის მიერ შემოწმებულ იქნა შემდეგი ორგანიზაციები, კერძოდ შემოწმდა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 1 (ერთი) საქალაქო სამსახური.

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ 2016 წლის 1 მაისიდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 4 (ოთხი) რაიონული გამგეობა.

2. სამგორის რაიონის გამგეობის მიერ 2016წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
3. ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ 2016წლის 1 მარტიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
4. საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ 2017წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
5. კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ 2016წლის 1 მარტიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ის 4 (ოთხი) ორგანიზაცია.

6. ა(ა)იპ ქ.თბილისის N50 საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეულისაფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
7. ა(ა)იპ ქ.თბილისის „ზაჰესის ბაღის“ მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეულისაფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
8. ა(ა)იპ ქ.თბილისის N5 ბაგა-ბაღის მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 ივლისამდე ჩათვლით პერიოდშიგაწეულისაფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

9. ააიპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ მიერ 2016 წლის 1 აგვისტოდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ის 1 (ერთი) ორგანიზაცია.

10. სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მიერ, 2016 წლის 1 ოქტომბრიდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

დასკვნის განხილვის პროცესში იმყოფება 2 (ორი) ორგანიზაცია:

11. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ 2016 წლიდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

12. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ მიერ 2015; 2016 და 2017 წლების პერიოდშიგაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

შემოწმების პროცესში იმყოფება 5 (ხუთი) ორგანიზაცია:

1. ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდი"-ს მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მიერ 2016 წლის 1 აგვისტოდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
3. ა(ა)იპ თბილისის N60-ე საბავშო ბაგა-ბაღი მიერ 2016 წლის 1 იანვარი 2018 1 აგვისტომდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
4. შპს "თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ 2016 წლის 1 ოქტომბრიდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
5. ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიას“ მიერ 2017 წლის 01 სექტემბრიდან 2018 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

სარევიზიო კომისიის მიერ ერთი ორგანიზაციის ააიპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ შემოწმება ვერ მოხერხდა, ვინაიდან სამსახურში შესამოწმებას ანხორციელებდა სახემწიფო აუდიტის სამსახური.

ჩატარებული შემოწმებებით დადგენილი იქნა სხვადასხვა სახის დარღვევები:

მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში - თბილისი) მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის, საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას დედაქალაქის ტერიტორიაზე შემომავალი ავტობუსების (M2 და M3 კატეგორიები) მოძრაობის, ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზების და სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ორგანიზების მართვას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს შესამოწმებელ პერიოდში სულ გაწეული აქვს 236 110 237 ლარის საკასო ხარჯი, აქედან 2016 წელს 66 251 444 ლარი, 2017 წელს 131 052 748 ლარი, 2018 წლის პირველ ნახევარში 38 806 045 ლარი .

2016, 2017 და 2018 წლის 6 თვის საანგარიშო პერიოდში სულ უფასო და შეღავათიანი ტარიფით გადაყვანილი მგზავრები:

	2016	2017	2018 (6 თვე)
მეტრო,ავტობუსი,საბაგირო	142 207 818	149 784 079	129 491 213
მიკროავტობუსი	9 431 876	9 183 721	4 459 342
სულ	151 639 694	158 967 780	133 950 555

1. ქ.თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), M2 (მიკრო ავტობუსი), M3 (ავტობუსი) კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო და საბაგირო გადაყვანის მომსახურების განმახორციელებელი და ნებართვის მფლობელი ყოველი თვის დამთავრების შემდეგ, ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს წარუდგენს ინფორმაციას (წერილობითი ფორმით) შეღავათიანი მგზავრობის ფასით მოსარგებლე ფაქტობრივად გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის და ბიუჯეტიდან ასანაზღაურებელი თანხის შესახებ, რომელსაც თანდართული აქვს მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M2, M3 კატეგორიის ავტობუსებით შეღავათით მოსარგებლე გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის შესახებ შედარების ოქმი, რომელსაც ადასტურებს ერთ შემთხვევაში მომსახურების განმახორციელებელი (შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანია“) და შპს ,,მეტროსერვის+“, ხოლო მეორე შემთხვევაში M2 კატეგორიის ავტობუსების ნებართვის მფლობელი (1.შპს ,,კაპიტალ გრუპ“, 2. შპს ,,ფაბლიქ ქარ“, 3. შპს ,,თბილ ლაინ“, 4. შპს ,,თბილ ქარ“) და შპს ,,მეტროსერვის+“.

(ტრანზაქციების გატარებას და შესაბამისი კომპანიებისათვის შემდგომ ანგარიშსწორებას ახორციელებს კომპანია შპს მეტროსერვის+).

არ ჩანს თუ რა კონტროლის მექანიზმი გააჩნია მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს შპს-ების მიერ მასთან წარდგენილ ინფორმაციაზე, კერძოდ შეღავათიანი მგზავრობის ფასით მოსარგებლე ფაქტობრივად გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის სიზუსტეზე და ამ მომსახურებაზე ბიუჯეტიდან ასანაზღაურებელ თანხებზე (132 323 822 ლარის საკასო ხარჯი გაწეულია მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), M3 კატეგორიის ავტობუსებით და საბაგირო გზით გადაყვანისათვის მომსახურებაზე, თანხა გადარიცხულია შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიაზე“, ხოლო 6 309 749

ლარის საკასო ხარჯი გაწეულია M2 კატეგორიის ავტობუსებით შეღავათიანი მგზავრობის ფასით მოსარგებლე პირთა მომსახურებისათვის, თანხა გადარიცხულია ქ.თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსში გამარჯვებულ 4 (ოთხ) ფირმაზე).

ვინაიდან არის შემთხვევა, როდესაც 2017 წლის 9 ივნისის ,,M3 კატეგორიის ავტობუსებით 2017 წლის აპრილის თვეში უფასოდ გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის და მომსახურების თანხების შედარების" ოქმის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს შპს ,,მეტროსერვის+"ის და შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანია"-ის წარმომადგენელი დამატებით კიდევ გადარიცხული იქნა შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანია"-ზე 691 336 ლარი (1 618 393- მგზავრთა რაოდენობა, რომელიც დაზუსტებული იქნა 3 001 065 რაოდენობით).

დოკუმენტებით არ ჩანს თუ კონკრეტულად რომელ მისამართზე, რა მოცულობის და რა სახეობის მომსახურეობა იქნა გაწეული.

2. 2017 წლის 13 თებერვალს გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერი (NAT170001468) ქალაქ თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე თერმო და ცივი პლასტით საგზაო მონიშვნის მომსახურების შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 997 450 ლარი, რომელსაც პრეტენდენტის არ არსებობის გამო მიენიჭა სტატუსი - ,,არ შედგა". ამ ტენდერის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო სამუშაოები შემდეგი მოცულობებით:

თერმოპლასტი	3000 მ² (51,25ლ)
ცივიპლასტი	33 000მ² (24,99ლ)
ერთკომპონენტიანი	500მ² (16,5ლ)
თერმო და ცივიპლასტის ძველი საღებავის წაშლა	400 მ² (26,5ლ)

ამის შემდეგ აღნიშნულ სამუშაოებზე 2017 წლის 7 აპრილს გამოცხადებული იქნა (მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის ბაზრის კვლევის საფუძველზე) ელექტრონული ტენდერი, აუქციონის გარეშე (NAT170003882), სავარაუდო ღირებულებით 985 120 ლარი, რომლის ხარჯთაღრიცხვით, მოცულობები ,,არ შემდგარ" ტენდერის ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებულ მოცულობებთან შედარებით განსხვავდება, კერძოდ:

თერმოპლასტი	6000 მ² (45,27)
ცივიპლასტი	14 000მ² (49,65)
ერთკომპონენტიანი	500მ² (16)
თერმო და ცივიპლასტის ძველი საღებავის წაშლა	400 მ² (26)

ანუ თერმოპლასტი 3000 მ² - ით მეტი და ცივიპლასტი 19 000 მ² - ით ნაკლები.

აღნიშნული სამუშაოების მოცულობების ცვლილებებთან დაკავშირებით, შემმოწმებელი ჯგუფისათვის, შემოწმების პროცესში, სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი და მოწოდებული, შესაბამისი დასაბუთება ან განმარტება.

2018 წელს შემოწმებული იქნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის, ნაძალადევის, საბურთალოს და კრწანისის რაიონის გამგეობების მიერ 2016-2017 წლებში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობებს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება-ანალიზის დასკვნებიდან გამომდინარე აღმოჩენილი იქნა ანალოგიური ხასიათის შენიშვნა ნაკლოვანებები, რომლებზეც მიეცათ რეკომენდაციები.

გამგეობებში გამოვლენილი დარღვევები: მიმწოდებლის მხრიდან სატენდერო პირობების და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევებზე არ ხდება სათანადო და დროული რეაგირება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო გარანტიების და საჯარიმო სანქციების მოთხოვნა, არ ხდება შესრულებული სამუშაოებზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმება, არ ხდება შესასრულებელი სამუშაოს გამოცდილების მოთხოვნა რეალობიდან გამომდინარე, ხშირია სამართლებრივი საფუძველის გარეშე ხელშეკრულებების 10%-ით გაზრდის, პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია უმნიშვნელო ფაქტორების გამო, შესრულებული სამუშაოების მოცულობების ცვლილებებზე არ არის შეთანხმების აქტები, სამუშაოების მიღება-ჩაბარებებზე არ არის აკრედიტირებული ექსპერტის ან ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის დასკვნები, წუნდებულად დაგებულ გზებზე არ ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეაგირებები, სახელმწიფო ქონების დაცვას და მის მოვლა პატრონობას არ ექცევა სათანადო ყურადგება, გამგეობის მიერ უფასო სასადილოების მონიტორინგისა და სოციალური პროგრამების განხორციელების მიმართულებით არ ხდება სათანადო კონტროლი და რეაგირება, ზოგ შემთხვევებში არ არის დაცული დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის თანხების გაცემის წესი, ხშირ შემთხვევებში კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული პროგრამით განხორციელებული ღონისძიებების დოკუმენტაცია არასრულყოფილია, შემოწმების მასალებით არ ჩანს გამგეობის მიერ გამოყოფილი (დახმარება) სამშენებლო მასალების მიზნობრიობა, სათანადო ყურადღება არ ექცევა სოციალური დახმარებებს, თანხების განაწილებას და საჩუქრების გაცემას.

გაცემული რეკომენდაციები:

1. მომწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევებში, გავრცელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები და საჯარიმო თანხების ამოღების მიზნით, საბანკო გარანტიასთან ერთად, გამოყენებული იქნას გამოქვითვის მეთოდი, შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან.

ასევე გამგეობის მიერ, მომწოდებელთან დადებულ ხელშეკრულებებში, რიგ შემთხვევებში არ არის განსაზღვრული სანქციის სახე, მომწოდებლების მიმართ, რომლებმაც საერთოდ არ შეასრულეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულება (შესასრულებელი სამუშაო), რის გამოც აუცილებელია ხელშეკრულებებში გამოყენებული იქნას საქართველოს კანონმდებლობით

გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელიც განსაზღვრავს სანქციის სახეს, ვალდებულებების შეუსრულებლობისას.

2. დაცული იქნეს სახელმწიფო შესყიდვების კანონით, სატენდერო პირობებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები (მათ შორის სამუშაოს შესრულების ვადები, მოთხოვნილი ექსპერტიზები, საბანკო გარანტიები და სხვა).

შესაბამისი განყოფილებების მიერ, მკაცრად მოხდეს შესრულებული სამუშაოებზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა. ვინაიდან, თავიდან იქნეს აცილებული საბიუჯეტო თანხების ზედმეტად და უყაირათოდ გადიწება.

3. მოწესრიგდეს გამგეობის საქმიანობა, ტენდერითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო გარანტიების მოთხოვნა-წარდგენისა და ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციების შესყიდვების სააგენტოს ინტერნეტგვერდზე განთავსების კუთხით.

4. გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მოთხოვნილი გამოცდილება არ შეესაბამება შესასრულებელ სამუშაოების მოცულობებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ზოგ შემთხვევებში შესასრულებელი სამუშაო უფრო მეტი ღირებულებისაა, ვიდრე მოთხოვნილი გამოცდილება, ზოგში კი პირიქით გამოცდილების მოთხოვნა, ბევრად აჭარბებს შესასრულებელ სამუშაოს ღირებულებას.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეფასება მოხდეს, შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოს რეალობიდან გამომდინარე.

5. სისტემატიურ ხასიათს ატარებს მოცულობითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ხელშეკრულებების 10%-ით გაზრდა, სამართლებრივი საფუძველის გარეშე.

აღნიშნულზე საჭიროა, დაცული იქნას საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლის“ მოთხოვნები და 10%-ის გაზრდის გამოყენება მოხდეს სამართლებრივ საფუძველზე, შესაბამისი გარემოებების არსებობისას.

6. ტენდერის შედეგების შეფასებისას პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია არ განხორციელდეს უმნიშვნელო ფაქტორების გამო („ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სატენდერო კომისია არახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემ(ებ)ს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობას/უზუსტობებს, რომლის/რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს“).

7. გზების მოვლა-შეკეთების სამუშაოებისას, შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდეს, მიმწოდებლის მიერ ნაზარდი ფორმა N2-ის წარმოდგენის შემდეგ.

8. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცალკეული დასახელების სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო მოცულობებსა და ფაქტიურად, ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ცვლილება, დაკორექტირდეს შეთანხმების აქტებით.

9. ინფრასტრუქტურული (კეთილმოწყობის) სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდეს, აკრედიტირებული ექსპერტის ან ა(ა)იპ მუნიციპალური ლაბორატორიის დასკვნის საფუძველზე.

10. აუცილებელია, ლაბორატორიის მიერ წუნდებულად აღიარებულ დაგებულ გზებზე მოხდეს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული და კანონით განსაზღვრული რეაგირებები.

11. სამუშაოს (საქონლის, მომსახურების) გამარტივებული შესყიდვის დროს, მაქსიმალურად იქნეს მოკვლეული და შესწავლილი ბაზარი და შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ანალოგიური სამუშაოს (საქონლის, მომსახურების) სატენდერო შესყიდვისას დაფიქსირებულ ფასთან, რაც უზრუნველყოფს ფასის რეალობას და ბიუჯეტის რაციონალურ ხარჯვას.

12. ერთი და იგივე სამუშაოს (საქონლის, მომსახურების) განსხვავებული ფასებით შესყიდვის თავიდან აცილების მიზნით, გამგეობის მიერ, გამოყენებული იქნას მერიის მიერ დაგენილი ზღვრული ფასები.

13. მეტი ყურადღება მიექცეს სახელმწიფო ქონების დაცვას და მის მოვლა პატრონობას (სპორტული მოედნის ღობეები).

14. გაუმჯობესდეს გამგეობის საქმიანობა, უფასო სასადილოების მონიტორინგისა და სოციალური პროგრამების განხორციელების მიმართულებით.

ასევე უფასო სასადილოებში აღმოჩენილ დარღვევებზე, განხორციელდეს კანონით განსაზღვრული რეაგირებები.

15. დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის თანხების გაცემისას, დაცული იქნას ,,დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესი. ამასთან, მიზანშეწონილად მიიცაჩნია აღნიშნული წესის მე-9 მუხლის ,,კომპენსაციის გაცემის განსაკუთრებული წესი"-ს გამოყენებაზე დაწესდეს ზღვარი და ამ მუხლით დაკმაყოფილებული ბენეფიციარების მოცულობა არ აღემატებოდეს საერთო ბენეფიციარების 20%-ს.

16. სამშენებლო მასალების გამოყოფის სარეკომენდაციო ოქმებს დაერთოს სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა და გამგეობის მიერ, გაკონტროლდეს გამოყოფილი სამშენებლო მასალების გამოყენების მიზნობრიობა.

17. კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული პროგრამით განხორციელებული თვითმოქმედული ღონისძიებების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტებს დაერთოს კონკრეტული ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებული დეტალური ანგარიში, დოკუმენტაციის დართვით.

18. გამგეობის მიერ უმჯობესია სააღდგომო საჩუქრების გაცემამდე, გადამოწმდეს სოციალური სააგენტოს ამონაწერის რეალობა, ოჯახში მაცხოვრებელთა სულადობის დასადგენად.

უმწეო მოქალაქეებზე, სხვა სოციალური დახმარების გაცემისას, თანხების განაწილება მოხდეს მეტი სამართლიანობით და თანაბრად.

ასევე მოსახლეობისთვის შეშის გადაცემის დროს, გამგეობის თანამშრომლებმა უნდა შეადგინონ ზუსტი და სრულყოფილი დოკუმენტაცია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობებმა აღნიშნეს რომ, იზიარებენ წარმოდგენილ შენიშვნებს და მომავალშიც გაითვალისწინებენ სარევიზიო კომისიის რეკომენდაციებს.

შემოწმებული იქნა ა(ა)იპ თბილისის N50-ე საბავშო ბაგა-ბაღი, ა(ა)იპ „ზაჰესის" ბაგა-ბაღი, ა.(ა).ი.პ. ქ.თბილისის N5-ე საბავშვო ბაგა - ბაღი.

შემოწმებით დადგენილი იქნა მსგავსი ნაკლოვანებები და შენიშვნები, რის გამოც ააიპ „თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" და თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებს მიეცა რეკომენდაციები მათი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

ბაგა-ბაღებში გვხვდება მსგავსი სახეობის დარღვევები: არ ტარდება ბაზრის კვლევა უკეთესი მომწოდებლის გამოვლენის მიზნით, სამშენებლო, სარემონტო და საპროექტო საქმიანობის შესასრულებელ და შესრულებულ სამუშაოს ხარისხ ხშირ შემთხვევაში ადასტურებს არაკომპეტენტური პირი, ზოგიერთ ბაგა-ბაღში არ არი ჩამოწერილი და ტერიტორიიდან გატანილი ამორტიზირებული საქონელი, მოუწესრიგებელია ბავშვთა დასწრების აღრიცხვის ჟურნალები, ასევე მოუწესრიგებელია ბავშვთა უსაფრთხოების ნორმები რისთვისაც ჩასატარებელია სათანადო სამუშაოები.

გაცემული რეკომენდაციები:

1. შესყიდვებთან დაკავშირებით მიზანშეწონილი იქნება ჩატარდეს ბაზრის კვლევა, უკეთესი მომწოდებლის გამოვლენის და ჯანსაღი კონკურენციის მიზნით, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფისათვის.

2. სამშენებლო, სარემონტო და საპროექტო საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი განახორციელოს საბავშო ბაგა-ბაღების სააგენტომ, შესრულებული სამუშაოს ხარისხობრივი მხარე დადასტურებული იქნას კვალიფიციური პირის მიერ.

3. მატერიალურ-ფასეულობების ინვენტარიზაცია და ამორტიზირებული საქონლის ჩამოწერა განხორციელდეს კანონმდებლობისა და დადგენილი რეკომენდაციების შესაბამისად.

4. ყურადღება მიექცეს ბავშვთა დასწრების აღრიცხვის სისწორეს, კვების პროდუქტების და სხვა მატერიალურ ფასეულობების (საკანცელარიო,სამეურნეო) რაციონალურად ხარჯვა-გამოყენებას.

5. განხორციელდეს საბავშვო ბაგა-ბაღის ეფექტურად მართვის ხელშეწყობისათვის შექმნილი ბაღის თანამშრომლების აღსაზრდელთა მშობლებისგან დაკომპლექტებული სათათბირო ორგანოს ჩანაცვლება საკონსულტაციო საბჭოთი და დაკომპლექტდეს, 2017 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედებული საქართველოს კანონის „ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ" მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით შესაბამისად.

6. ბაგა–ბაღის მართვის სტრატეგიით და არც დამტკიცებული საშტატო ნუსხით, არ არის გათვალისწინებული საბავშვო ბაგა–ბაღში საფინანსო–სააღრიცხვო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. თავისი სამართლებრივი ფორმის (არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირი) და საქმიანობის, მნიშვნელოვანი შემოსავლებისა (უმეტესწილად საბიუჯეტო დაფინანსების) და ხარჯების ბუღალტრულად აღრიცხვის და სრულყოფილი ფინანსური ანგარიშგებების სწორად და გამჭირვალედ წარმოებისათვის აუცილებელია, ბაგა–ბაღის საშტატო განრიგით დაშვებული იქნას, შესაბამისი საშტატო ერთეული.

7. მნიშვნელოვანია, საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს მიერ ორგანიზებულად განხორციელდეს საბავშვო ბაგა-ბაღების ეზოებში წლობით დაგროვილი ჯართისა და ლითონის ნარჩენების გატანა, რაც ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასთან ერთად ბავშვთა უსაფრთხოებასთანაცაა დაკავშირებული.

ყველა რეკომენდაცია ააიპ „თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" და თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მიერ იქნა გათვალისწინებული.

ააიპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის"-ს მიერ 2016 წლის 1 აგვისტოდან - 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმებით დადგინდა:

1. პრემიის გაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ ცალკეული პრემიების გაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ მოიცავს ინფორმაციას თუ რა მიზეზით მოხდა ამა თუ იმ თანამშრომლის წახალისება.

2. სასახლეში ცალკეულ შემთხვევებში არ ხორციელდება გამარტივებულ შესყიდვასთან (ერთ პირთან მოლაპარაკება) დაკავშირებით ბაზრის კვლევა, უკეთესი მომწოდებლების გამოვლენის და ჯანსაღი კონკურენციის მიზნით, რაც წარმოადგენს ფაქტორია სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფისათვის, კორუფციის რისკების მაქსიმალურად შემცირებისა და საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად გამოყენებისათვის.

3. შემოწმების პროცესში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების/მომსახურების ვადები არის ვადაგადაცილებული, თუმცა შემსრულებელთა მიმართ არ არის დაკისრებული პირგასამტეხლო.

4. შემოწმების პროცესში ასევე გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ აღემატება 30 დღით შესრულების ვადას, რითაც დარღვეულია ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნები: „ხელშეკრულების მოქმედების ვადა, სულ მცირე, 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების შესრულების ვადას".

5. 2018 წლის 20 აპრილს შპს „კია მოტორს ჯორჯია"ზე გადარიცხულია 871 ლარი სარემონტო სამუშაოების ჩატარებაზე, რომელიც ეხება სასახლის ავტომანქანის კია ჩერატო UU767OO მომსახურებას. გაირკვა, რომ აღნიშნულზე არ არის დეფექტური აქტი, ამასთან ერთად მიღება-ჩაბარების აქტებში (ოთხ შემთხვევაში) არ არის მითითებული, თუ ფაქტობრივად, რომელ სახელმწიფო ნომრის მანქანაზე იქნა სამუშაოები ჩატარებული.

6. სასახლეში მიმდინარე შესასრულებელ სამუშაოებზე არ კეთდება დეფექტური აქტები, რაც სასახლის ხელმძღვანელობამ მომავალში უნდა გაითვალისწინოს.

7. ასევე შესამოწმებელ პერიოდში „სასახლის"მიერ გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებულ იქნა 9 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება CPV კოდით 92300000 - გასართობი მომსახურებები, აქედან 5 ხელშეკრულება 2017 წლის განმავლობაში (ჯამში 9800 ლარი), ხოლო 4 ხელშეკრულება 2018 წელს (ჯამში 5212,5 ლარი). შემოწმებით დადგინდა, რომ არცერთ ხელშეკრულებას არ ახლავს დეტალური კალკულაცია. ნებისმიერი მომსახურების შესყიდვის დროს საჭიროა დეტალურად იქნას გაწერილი (კალკულაცია), თუ რა სახის მომსახურების შესყიდვას ახორციელებს სასახლე.

8. სარეცენზიო პერიოდში ცალკეულ შემთხვევებში მიღება ჩაბარების აქტებზე არ არის მითითებული აქტის შედგენის თარიღი.

9. 2018 წლის 19 თებერვალს შპს „თბილსერვის ჯგუფ"თან გაფორმებულია N27 (1/18-167) ხელშეკრულება, რომელიც ეხება სასახლის დირექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის N73 ბრძანების საფუძველზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა სასახლის ბალანსზე რიცხული უვარგისი ქონების განადგურება - დამარხვის მომსახურებას.

2018 წლის 19 თებერვლის N33 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გაირკვა, რომ ჩამოწერილი ქონების განადგურება ნაგავსაყრელ პოლიგონზე დაიმარხა 175 სხვადასხვა დასახელების გამოსაყენებლად უვარგისი მატერიალურ-ფასეულობები, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაგავსაყრელზე გადაყრილად

ნაჩვენებია ისეთი ნივთები, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა ჯართად. მაგალითად: რკინის კიბეები, რკინის მეტალო სექცია, სეიფი, ბურღი, დაზგა სადურგლო და სალესი დანადგარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ.თბილისის „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ ხელმძღვანელობას მიეცათ რეკომენდაციები გასათვალისწინებლად.

სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“

ქ.თბილისის სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ შესამოწმებელი პერიოდი მოიცავდა 2016 წლის 01 ოქტომბრიდან 2018 წლის 01 ივლისამდე პერიოდს.

1. ავტომანქანების დაზღვევის ხელშეკრულება ყოველ წელს ფორმდება დაგვიანებით ასე მაგალითად 2016 წელს ხელშეკრულება გაფორმდა 2 მარტს სამი თვის დაგვიანებით, 2017 წელს 20 თებერვალს 50 დღის დაგვიანებით, ხოლო 2018 წელს 19 დღის დაგვიანებით.

ინვენტარიზაცია

საინვენტარიზაციო კომისიამ ინვენტარიზაციის ჩატარების დროს დაუშვა შეცდომა, კერძოდ: აღწერა „ცენტრში“ არსებული ინვენტარი და თითოეულ ოთახის აღწერაზე შეადგინა შესაბამისი აქტი და განისაზღვრა პასუხისმგებელი პირი, მაგრამ მათთან არაა შესაბამისი წესით გაფორმებული ხელშეკრულება, რითაც დაიღვა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის - „ინვენტარიზაციის ჩატარების საერთო წესები“, მე-12 პუნქტის - „საინვენტარიზაციო კომისია“, „ა“ ქვეპუნქტის - „ ახორციელებს არაფინანსური და ფინანსური აქტივების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების აღწერას, ადგილმდებარეობისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით, ხოლო მატერიალური პასუხისმგებელი პირის არ არსებობის შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ, როგორც მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა, მიეთითება აქტში და საინვენტარიზაციო აღწერა განხორციელდება ადგილმდებარეობის მიხედვით. რაც საინვენტარიზაციო კომისიას, 2016-2017 წლის აქტებში არ აქვს აქტში მითითებული.

ასევე, „ცენტრის“ მატერიალური ფასეულობების ნაწილზე არის მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, თუმცა მათთან საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად - „მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან დადგენილი წესით იდება წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ“ - არ აქვს გაფორმებული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ წერილობითი ხელშეკრულება.

შემოწმებულ ორგანიზაციებზე, შემოწმება-ანალიზის დასკვნიდან გამომდინარე, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად გაცემულ იქნა რეკომენდაციები. შემოწმებული ორგანიზაციების შემოწმება-ანალიზის დასკვნები, ასევე კომისიის გადაწყვეტილებით, იგზავნება დამატებითი გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში.

სარევიზიო კომისიის მიერ განხორციელებული შემოწმებების და დასკვნების შედეგად აღმოჩენილი დარღვევები, ორგანიზაციების მიერ ხშირად არის გათვალისწინებული რეკომენდაციების სახით, რასაც ადასტურებს დასკვნებთან დაკავშირებით შემოწმებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებები, რაც შემდგომში ისახება მათ გამოსწორებულ საქმიანობა.

სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა კომისიის 8 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 18 საკითხი.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე რიმა ბერაძე